ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7139588

ნომერი: AR11046627

თარიღი : 09.07.2024

გაცემის თარიღი : 19.07.2024

გაცნობის თარიღი : 19.07.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი რატევანის I , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ხარაბაძე პ/ნ 01024055464
- ტაშკენტის ქ 10ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 მარტის №6942698 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 09 ივლისს №AR11046627 განცხადებით მომართა ნინო ხარაბაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 20

მარტის №6942698 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 20 მარტის №6942698 ბრძანებით №01.12.09.003.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 20 მარტიდან 2024 წლის 9 მაისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2024 წლის 27 ივნისის №7103460 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2024 წლის 20 მარტის №6942698 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა გაგრძელდა 2024 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 01 აპრილის №6961096 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 20 მარტის №6942698 ბრძანებაში და აღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდა ღია ავტოსადგომების ფართობი 147.8 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2024 წლის 20 მარტის №6942698 ბრძანებით შეთანხმებული -3.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა (ა/სადგომის გეგმის) ჩანაცვლდა №AR11025144 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის არქიტექტურული გეგმით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 20 მარტის №6942698 ბრძანებით შეთანხმებულ 7-1 ფასადსა და შეთანხმებულ გეგმებს შორის არის შეუსაბამობა „2-1“ ღერძებში მდებარე აივნების რკინის მოაჯირების ზომებთან დაკავშირებით, რაც წარმოდგენილ 7-1 ფასადზე გასწორებულია. განმცხადებელი, ასევე, განმარტავს, რომ შეთანხმებულ 7-1 ფასადზე „4-3“ ღერძებში კედლის ხაზის ზომაც არასწორად იყო დატანილი, რაც წარმოდგენილ 7-1 ფასადზე გასწორებულია.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი 7-1 ფასადი ზომების („2-1“ ღერძებში მდებარე აივნების რკინის მოაჯირების ზომები) მითითების ნაწილში მოყვანილია შეთანხმებულ გეგმებთან შესაბამისობაში. ასევე, წარმოდგენილი რენდერები (აქსონომეტრიული ხედები) და 7-1 ფასადი „4-3“ ღერძებში მდებარე კედლის ხაზის ნაწილში მოყვანილია ერთმანეთთან შესაბამისობაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 მარტის №6942698 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 მარტის №6942698 ბრძანებაში და:
1.1. აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული 0.00, +3.30, +6.60, +9.90 და +13.20 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
1.2.აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული „ფასადი 7-1“ და რენდერები (აქსონომეტრიული ხედები) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე „ფასადი 7-1“-ით და რენდერებით (აქსონომეტრიული ხედები).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 მარტის №6942698 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 მარტის №6942698 და 2024 წლის 01 აპრილის №6961096 ბრძანებებთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.